დანართი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა სსიპ - სასწავლო უნივერსიტეტ - ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის მიერ ავტორიზაციის პირობების შესრულების შემოწმების შესახებ[1]

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე: ია მოსაშვილი, სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, საქართველო

წევრი:

ნინო გორგოშაძე, სსიპ საქართველოს საზღვაო ტრანსპორტის სააგენტო, საქართველო

თბილისი
2020

[1] **შენიშვნა:** მონიტორინგის მიზნიდან გამომდინარე, ექსპერტთა ჯგუფი აფასებს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესაბამისობას რელევანტურ სტანდარტთან/სტანდარტებთან და/ან სტანდარტის კომპონენტთან/კომპონენტებთან

ავტორიზაციის პირობების შემოწმების მონიტორინგის დასკვნის რეზიუმე

ზოგადი ინფორმაცია დაწესებულების შესახებ

სახელწოდება	ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემია
ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა	საჯარო სამართლის იურიდიული პირი
სახე	სასწავლო უნივერსიტეტი
საიდენტიფიკაციო კოდი	245427337
ძირითადი მისამართი (ქუჩა, N, ქალაქი/ მუნიციპალიტეტი, საფოსტო ინდექსი, ქვეყანა)	რუსთაველის ქ. №53, ბათუმი, 6010, საქართველო
ვებ-გვერდი	https://bsma.edu.ge/
ინფორმაცია დაწესებულების ავტორიზაციის შესახებ	ავტორიზებული
გადაწყვეტილების მიღების თარიღი და გადაწყვეტილების ნომერი	01.09.2018 წ. №58
ავტორიზაციის ვადის გასვლის თარიღი	01.09.2024

რაოდენობრივი მაჩვენებლები

პროგრამები[2]

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების რაოდენობა	16
ბაკალავრიატი	10
მაგისტრატურა	5
ერთსაფეხურიანი	-
დოქტორანტურა	-
მასწავლებლის მომზადების (60 კრედიტიანი)	-
ქართულ ენაში მომზადების	1
აკრედიტებული პროგრამების რაოდენობა	11
საერთაშორისო ორგანიზაციის მიერ აკრედიტირებული პროგრამების რაოდენობა	-
ერთობლივი საგანმანათლებლო პროგრამების რაოდენობა[3]	-
გაცვლითი პროგრამების რაოდენობა	-

სტუდენტები

სტუდენტების არსებული ზღვრული რაოდენობა			
	აქტიური	შეჩერებული	პროგრამის დასრულების მაჩვენებელი
სულ სტუდენტების ფაქტობრივი რაოდენობა	2406	545	-
ბაკალავრიატი	2322	426	-
მაგისტრატურა	81	119	-
ერთსაფეხურიანი	-	-	-
დოქტორანტურა	-	-	-
მასწავლებლის მომზადების (60 კრედიტიანი)	-	-	-
ქართულ ენაში მომზადების პროგრამა	3	-	-
უცხოელი სტუდენტების რაოდენობა	-	-	-

[2] იხ. დანართი №1 უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების ჩამონათვალი, რომელსაც ახორციელებს დაწესებულება

[3] იგულისხმება მხოლოდ ის ერთობლივი პროგრამები, რომელთა განსაზღვრება მოცემულია „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მეორე მუხლის $ჰ^{48}$ პუნქტში

სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტების რაოდენობა	-	-	-

პერსონალი

მონაცემები უსდ-ში დასაქმებული პერსონალის შესახებ	
უსდ-ში დასაქმებული პერსონალის რაოდენობა (მათ შორის, აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული, ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალი)	-
სულ აკადემიური პერსონალის რაოდენობა	69
- პროფესორი	15
- ასოცირებული პროფესორი	41
- ასისტენტ პროფესორი	8
- ასისტენტი	5
სამეცნიერო პერსონალის რაოდენობა	-
- მეცნიერი	-
- პოსტდოქტორანტი	-
სულ აფილირებული აკადემიური პერსონალის რაოდენობა	66
- აფილირებული პროფესორი	15
- აფილირებული ასოცირებული პროფესორი	39
- აფილირებული ასისტენტ პროფესორი	7
- აფილირებული ასისტენტი	5
სწავლებაში ჩართული უცხოელი აკადემიური/მოწვეული პერსონალის რაოდენობა	-
კვლევაში ჩართული უცხოელი აკადემიური/სამეცნიერო/მოწვეული პერსონალის რაოდენობა	-
სასწავლო პროცესში ჩართული მოწვეული პერსონალი	36
ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალი	

შენობა-ნაგებობათა საერთო ფართი

დაწესებულების საერთო ფართის ოდენობა კვ.მ-ში	-
დაწესებულების საერთო სასწავლო ფართის ოდენობა კვ.მ-ში	-
დაწესებულების საერთო დამხმარე ფართის ოდენობა კვ.მ-ში	-

მოკლედ აღწერეთ ავტორიზაციის პირობების შემოწმების მონიტორინგის ვიზიტი

აღწერეთ რომელ სტანდარტებთან შესაბამისობა შეაფასა ექსპერტთა ჯგუფმა მონიტორინგის ფარგლებში და როგორ წარიმართა პროცესი:

განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის, 2020 წლის 3 ივნისის ბრძანების MES 1 20 00430463 თანახმად შეიქმნა მონიტორინგის ექპერტთა ჯგუფი და ამ ბრძანებით განსაზღვრულ ვადებში განხორციელდა სსიპ სასწავლო უნივერსიტეტ - ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის მიერ ავტორიზაციის პირობების შესრულების მონიტორინგი. შესწავლილი გარემოებების გათვალისწინებით მოხდა დასკვნის წარმოდგენა. აღნიშნული მონიტორინგი განხორციელდა ინსტიტუციის მიერ წარმოდგენილი მასალების განხილვით უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის მე-6 სტანდარტთან მიმართებაში. რეკომენდაციები, გაცემული კვლევით კომპონენტთან დაკავშირებით, განხილული იქნა სწორედ ამ სტანდარტის ჭრილში და ასახულია შესაბამისად. მასალების გაცნობის შემდეგ დადგა ინტერვიურების საჭიროება, რომელიც უზრუნველყოფილ იქნა განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის და უნივერსიტეტის ორგანიზებით და მხარდაჭერით. ექსპერტთა ჯგუფის მიერ გამოთხოვილ იქნა დოკუმენტები უნივერსიტეტიდან, რომელთა მიწოდება მოხდა დროულად.

უნდა აღინიშნოს, რომ 2018 წლის ავტორიზაციის ექსპერტთა დასკვნაში მოცემულ რეკომენდაციების შესრულების თაობაზე გაკეთებულ ანგარიშში, უნივერსიტეტმა წარმოადგინა სახეცვლილი რეკომენდაციები (იხ. ქვემოთ მოცემული ცხრილი), რომელთა შესრულების აღწერა და შეფასებაა წარმოდგენილი. კერძოდ, თვითშეფასების ანგარიშის 6.1 კომპონენტის ნაწილში არ ჩანდა ავტორიზაციის ექსპერტთა მიერ ამ ნაწილში გაცემული რეკომენდაცია, არამედ განხილული იყო 6.2 კომპონენტში გაცემული რეკომენდაცია. თვითშეფასების 6.2 კომპონენტში კი გაანალიზებული იყო ავტორიზაციის ექსპერტების მიერ 4.2 და 7.4 კომპონენტებში გაცემული ის რეკომენდაციები, რომელიც ეხებოდა დაწესებულების კვლებით საქმიანობას. ასევე, ანგარიშის 6.3. კომპონენტის ნაწილში გაანალიზებული იყო ავტორიზაციის ექსპერტების მიერ 2.2 კომპონენტში გაცემული რეკომენდაცია, ნაცვლად 6.3-ში გაცემული რეკომენდაციისა.

მონიტორინგის ექსპერტთა ჯგუფმა შეაფასა ინსტიტუციის მიერ ავტორიზაციის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულება, ასევე შეისწავლა და გაითვალისწინა გარემოებები, რომელიც ასახული იყო დაწესებულების თვითშეფასების ანგარიშში მე-6 სტანდართან მიმართებით.

უნივერსიტეტის მიმართ გაცემული რეკომენდაციები და ბსა-ს მიერ თვითშეფასების ფორმით წარმოდგენილი რეკომენდაციები, მოცემულია ქვემოთ წარმოდგენილ ცხრილში:

2018 წლის ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემული რეკომენდაციები:	დაწესებულების მიერ 2020 წლის თვითშეფასების ფორმით წარმოდგენილი რეკომენდაციები:
კომპონენტი 6.1. აკადემიამ უნდა შეიმუშავოს სტრატეგია, რომ დაეხმაროს სამაგისტრო პროგრამის სტუდენტებს სწავლაში, რამდენადაც ისინი არიან მოქმედი მეზღვაურები და საჭიროებენ ინდივიდუალურ პროგრამებს.	კომპონენტი 6.1 შემუშავებული უნდა იქნას სტრატეგია, რომელიც შესაძლებელს გახდის, რომ აკედემიური და მოწვეული პერსონალი ჩაერთოს კვლევით პროექტებში, რაც ხელს შეუწყობს სამაგისტრო ნაშრომებზე მუშაობის ეფექტურობის გაზრდას და ასევე სამაგისტრო ნაშრომების ხარისხის ამაღლებას.
კომპონენტი 6.2. აკადემიამ უნდა შეიმუშავოს სტრატეგია, რომელიც შესაძლებელს გახდის აკადემიური და მოწვეული პერსონალის ჩართვას კვლევით პროექტებში, სამაგისტრო ნაშრომებზე ეფექტური ზეგავლენის მიზნით.	კომპონენტი 6.2 • შეიმუშავეთ და განახორციელეთ ახალგაზრდა თაობის მოზიდვის პოლიტიკა, როგორც საგანმანათლებლო, ისე კვლევით პროცესებში; • სასწავლო უნივერსიტეტის ბიუჯეტი პრიორიტიზირებული უნდა იყოს აკადემიური და კვლევითი საქმიანობისთვის, რადგან კვლევითი აქტივობები არის ერთ-ერთი საფუძველი აკადემიის შემდგომი განვითარებისა.
კომპონენტი 6.3.	კომპონენტი 6.3

აკადემიამ უნდა შეიმუშავოს სტრატეგია, რომლითაც შესაძლებელი იქნება კვლევითი საქმიანობებისა და მათი ინტერნაციონალიზაციის შეფასება.	უზრუნველყოფილი უნდა იქნეს, რომ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა მეტი ყურადღება დაუთმოს კვლევითი კომპონენტის შეფასებისა და მხარდაჭერის მექანიზმებს

მონიშნეთ რას უკავშირდებოდა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების წინა შეფასება, რომლის ფარგლებშიც გაიცა რეკომენდაციები:

☒ ავტორიზაციის მოპოვების მიზნით განხორციელებული შეფასება
შეფასების განხორციელების თარიღი: ____01.09.2018_____

☐ სტუდენტთა კონტინგენტის გაზრდის მიზნით განხორციელებული შეფასება
შეფასების განხორციელების თარიღი: _____

☐ საგანმანათლებლო პროგრამის დამატების მიზნით განხორციელებული შეფასება
შეფასების განხორციელების თარიღი: _____

☐ შეფასება ავტორიზაციის პირობებთან შესაბამისობის მიზნით განხორციელებული მონიტორინგის ფარგლებში
შეფასების განხორციელების თარიღი: _____

უსდ-სათვის ბოლო შეფასების ფარგლებში მიღებული რეკომენდაციები (მიუთითეთ სტანდარტი/სტანდარტის კომპონენტი და შესაბამისი რეკომენდაცია):	აღწერეთ რამდენად იქნა გათვალისწინებული უსდ-ს მიერ წინა შეფასების ფარგლებში მიღებული რეკომენდაცია და რჩება თუ არა გასაუმჯობესებელი მხარეები სტანდარტის კომპონენტთან შესაბამისობის თვალსაზრისით:
6.1. აკადემიამ უნდა შეიმუშავოს სტრატეგია, რომ დაეხმაროს სამაგისტრო პროგრამის სტუდენტებს სწავლაში, რამდენადაც ისინი არიან მოქმედი მეზღვაურები და საჭიროებენ ინდივიდუალურ პროგრამებს.	შესრულებულია ნაწილობრივ, კერძოდ, მაგისტრატურის სტუდენტები სარგებლობენ ინდივიდუალური სასწავლო პროგრამებით. ამ ქვესტანდარტთან მიმართებით რეკომენდაციად ჩამოყალიბდა ის საკითხი, რომ განისაზღვროს სამაგისტრო და საბაკალავრო თემების ხელმძღვანელის ფუნქციები დეტალურად, ასევე, სამაგისტრო ნაშრომებში მეტი ყურადღება დაეთმოს ციტირებისა და გამოყენებული ლიტერატურის სწორად წარმოდგენას. ამოქმედდეს სამეცნიერ-კვლევითი და საგამომცემლო საქმიანობის სამმართველოს ფუნქციები.
6.2. აკადემიამ უნდა შეიმუშავოს სტრატეგია, რომელიც შესაძლებელს გახდის აკადემიური და მოწვეული პერსონალის ჩართვას კვლევით პროექტებში, სამაგისტრო ნაშრომებზე ეფექტური ზეგავლენის მიზნით.	ნაწილობრივ შესრულებულია. აკადემიური და მოწვეული პერსონალი, სტუდდენტები ჩართული არიან კვლევით პროექტებში, თუმცა სისტემური ხასიათი უნდა მიეცეს უნივერსიტეტის მხრიდან სამეცნიერო - კვლევითი საქმიანობის მხარდამჭერ ღონისძიებებს, რაც იმოქმედებს სამაგისტრო ნაშრომების ეფექტურობაზეც.
6.3. აკადემიამ უნდა შეიმუშავოს სტრატეგია, რომლითაც შესაძლებელი იქნება კვლევითი საქმიანობებისა და მათი ინტერნაციონალიზაციის შეფასება.	ნაწილობრივ შესრულებულია. შემუშავებულია „აკადემიური პერსონალის სამეცნიერო/კვლევითი და აკადემიური საქმიანობის ეფექტურობის შეფასების წესი“, თუმცა აღნიშნული დოკუმენტი შესაბამისობაში უნდა მოვიდეს სასწავლებელში არსებულ პრაქტიკასთან და მკაფიოდ აისახოს შეფასების მეთოდები, მექანიზმები და პასუხისმგებლობები, გაუგებრობის თავიდან აცილების მიზნით. არ არის წარმოდგენილი

	კვლევითი კომპონენტის შეფასების შედეგების ანალიზის დოკუმენტი და განხორციელებული უკუკავშირის ამსახველი მასალები.

სსიპ სასწავლო უნივერსიტეტ - ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის მიერ ავტორიზაციის პირობების შესრულების მონიტორინგის დასკვნის პროექტზე წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას თან ერთვის დანართები, სადაც ექსპერტთა რეკომენდაციების საფუძველზე განხორციელებული რიგი ცვლილებებია წარმოდგენილი. ექსპერტთა ჯგუფი გაეცნო აღნიშნულ მასალებს, თუმცა მოქმედი წესების თანახმად, დასკვნაში არ მოხდა მათი გათვალისწინება.

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტანდარტებთან შესაბამისობის მიმოხილვა

რეკომენდაციები

- ჩამოყალიბებულ იქნას დეტალურად სამაგისტრო და საბაკალავრო თემების ხელმძღვანელის ფუნქციები;
- სამაგისტრო ნაშრომების შესრულების დაწყებამდე მოხდეს მის გაფორმებასთან დაკავშირებული საკითხების დეტალური გაცნობა სტუდენტთათვის, განსაკუთრებით გამოყენებული ლიტერატურის სწორად ციტირებასთან მიმართებაში, რაც შემდგომ გავლენას მოახდენს ნაშრომის შეფასებაზე.
- სისტემური ხასიათი მიეცეს უნივერსიტეტის მხრიდან სამეცნიერო - კვლევითი საქმიანობის მხარდამჭერ ღონისძიებებს;
- „აკადემიური პერსონალის სამეცნიერო/კვლევითი და აკადემიური საქმიანობის ეფექტურობის შეფასების წესი“ შესაბამისობაში მოვიდეს სასწავლებელში არსებულ პრაქტიკასთან და მკაფიოდ აისახოს შეფასების მეთოდები, მექანიზმები და პასუხისმგებლობები, გაუგებრობის თავიდან აცილების მიზნით;
- აკადემიური პერსონალის საქმიანობის ყოველი მონოტორინგის შედეგებზე დაყრდნობით შემუშავებულ იქნას ანალიზის დოკუმენტი და ასევე, განხორციელებული უკუკავშირის ამსახველი დოკუმენტი/დოკუმენტები.

რჩევები

- სასურველია თუ საბაკალავრო პროექტში განსაზღვრული იქნება სტუდენტისათვის კონკრეტული დავალება და დაემატება უფრო მეტი გამოთვლითი ან კვლევითი კომპონენტები;
- სასურველია სასწავლებელმა მოიკვლიოს სამაგისტრო პროგრამებზე სტუდენტების მიერ სწავლის შეწყვეტის მიზეზი და სასწვალებელმა უფრო აქტუალური აკრედიტებული სამაგისტრო პროგრამები განავითაროს, რაც უფრო გაამლიერებს სასწავლებლის კვლევით კომპონენტს და შესაბამისად მოამზადებს საფუძველს სადოქტორო პროგრამების დანერგვისათვის;
- კარგი იქნება, თუ უნივერსიტეტი იზრუნებს სამეცნიერო გამოცემების ზრდაზე;
- კარგი იქნება, თუ უნივერსიტეტის ბიუჯეტს თან დაერთვება დეტალურად წარმოდგენილი ხარჯები კვლევების განხორციელების ნაწილში;
- სასურველია სამეცნიერო-კვლევითი და საგამომცემლო საქმიანობის სამმართველოს საქმიანობა იყოს უფრო ეფექტური და აკადემიურ პერსონალს ჰქონდეს მეტი ცნობადობა მის საქმიანობასთან მიმართებით.

საუკეთესო პრაქტიკა

დაწესებულების სტანდარტებთან და სტანდარტის კომპონენტებთან შესაბამისობის შეფასების შემაჯამებელი ცხრილი

	სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ შეესაბამება მოთხოვნებს
1.	უსდ-ის მისია და სტრატეგიული განვითარება	☐	☐	☐	☐
1.1	უსდ-ის მისია	☐	☐	☐	☐
1.2	სტრატეგიული განვითარება	☐	☐	☐	☐
2.	უსდ-ის ორგანიზაციული სტრუქტურა და მართვა	☐	☐	☐	☐
2.1	ორგანიზაციული სტრუქტურა და მართვა	☐	☐	☐	☐
2.2	ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები	☐	☐	☐	☐
2.3	ეთიკისა და კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვა	☐	☐	☐	☐
3.	საგანმანათლებლო პროგრამები	☐	☐	☐	☐
3.1	საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება და განვითარება	☐	☐	☐	☐
3.2	საგანმანათლებლო პროგრამების სტრუქტურა და შინაარსი	☐	☐	☐	☐
3.3	სწავლის შედეგების შეფასება	☐	☐	☐	☐
4.	უსდ-ის პერსონალი	☐	☐	☐	☐
4.1	პერსონალის მართვა	☐	☐	☐	☐
4.2	აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის დატვირთვა	☐	☐	☐	☐
5.	სტუდენტები და მათი მხარდაჭერის ღონისძიებები	☐	☐	☐	☐
5.1	სტუდენტის სტატუსის მოპოვების, ცვლილებისა და განათლების აღიარების წესი და სტუდენტთა უფლებები	☐	☐	☐	☐
5.2	სტუდენტთა მხარდაჭერის ღონისძიებები	☐	☐	☐	☐
6.	კვლევა, განვითარება ან/და სხვა შემოქმედებითი საქმიანობა	☐	☒	☐	☐
6.1	კვლევითი საქმიანობა	☐	☒	☐	☐
6.2	კვლევის მხარდაჭერა და ინტერნაციონალიზაცია	☐	☒	☐	☐
6.3	კვლევითი საქმიანობის შეფასება	☐	☒	☐	☐
7.	მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები	☐	☐	☐	☐
7.1	მატერიალური რესურსები	☐	☐	☐	☐
7.2	საბიბლიოთეკო რესურსები	☐	☐	☐	☐
7.3	საინფორმაციო რესურსები	☐	☐	☐	☐
7.4	ფინანსური რესურსები	☐	☐	☐	☐

ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები

1. ია მოსაშვილი (თავმჯდომარე)
2. ნინო გორგოშაძე (წევრი)



უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტის კომპონენტებთან შესაბამისობის შეფასება

6. კვლევა, განვითარება ან/და სხვა შემოქმედებითი საქმიანობა

უსდ, სახისა და დარგ(ებ)ის სპეციფიკის გათვალისწინებით, ზრუნავს საკუთარი კვლევითი ფუნქციის გაძლიერებაზე, უზრუნველყოფს კვლევების ხელშემწყობი პირობების შექმნასა და კვლევითი საქმიანობის ხარისხის ამაღლებას.

6.1 კვლევითი საქმიანობა
○ უსდ, სახისა და დარგის სპეციფიკიდან გამომდინარე, ახორციელებს კვლევით/შემოქმედებით საქმიანობას. ○ სადოქტორო კვლევების ხელმძღვანელობის ეფექტურობის უზრუნველყოფა. ○ უსდ-ს აქვს დარგის სპეციფიკის შესაბამისი სადისერტაციო ნაშრომის შეფასებისა და დაცვის საჯარო, გამჭირვალე და სამართლიანი პროცედურები.
სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი: 2018 წლის ავტორიზაციის ექსპერტთა რეკომენდაციის თანახმად, აკადემიამ უნდა შეიმუშავოს სტრატეგია, რომ დაეხმაროს სამაგისტრო პროგრამის სტუდენტებს სწავლაში, რამდენადაც ისინი არიან მოქმედი მეზღვაურები და საჭიროებენ ინდივიდუალურ პროგრამებს. ბათუმის სახელმწიფო საზღვაო უნივერსიტეტის ხედვას წარმოადგენს გადაიქცეს შავი და კასპიის ზღვის რეგიონის წამყვან საგანმანათლებლო ცენტრად საზღვაო და მომიჯნავე დარგებში. მისიიდანაც კარგად ჩანს, რომ კვლევების განხორციელება უნივერსიტეტის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფუნქციაა და გეგმავს გაზარდოს კვლევითი პოტენციალი საქართველოსა და უცხოეთის საგანმანათლებლო და დამსაქმებელ ინსტიტუციებთან თანამშრომლობისა და ინტერნაციონალიზაციის გაძლიერების გზით. 2018-2024 წლების სტრატეგიულ გეგმაში ჩამოყალიბებული 13 ძირითადი მიზნიდან ერთი სწორედ სამეცნიერო და კვლევითი საქმიანობის ხელშეწყობა და სასწავლო უნივერსიტეტის სტატუსის უნივერსიტეტად გარდაქმნის პროცესის დაწყებაა. ამ მიზნის შესრულების ამოცანებს წარმოადგენს საკვლევი პროექტების ინიცირება და მათში აკადემიური პერსონალისა და სტუდენტების მონაწილეობის წახალისება. ასევე, სადოქტორო პროგრამების შემუშავების, დანერგვისა და განხორციელებისთვის საჭირო კარგი პრაქტიკის იდენტიფიცირება და სამართლებრივი საფუძვლების შექმნა. 2018 წლის ავტორიზაციის ოქმის თანახმად, კვლევითი კომპონენტის გაუმჯობესების მიზნით, დაწესებულების აზრით, 2019 წლიდან არაერთ კვლევით პროექტს განახორციელებდა დაწესებულება. უნივერსიტეტმა წარმოადგინა 8 საერთაშორისო პროექტის ჩამონათვალი, რომლებშიც კვლევითი კომპონენტების წილიც არის. ბათუმის სახელმწიფოს საზღვაო აკადემიის მიერ კვლევითი კომპონენტის გაძლიერების მიზნით 2018 წელს ჩატარებული ავტორიზაციის შემდგომ განხორციელდა სხვადასხვა ღონისძიებები, როგორც მარეგულირებელი დოკუმენტების შექმნის კუთხით, კვლევითი პროექტების ინიცირებით, ასევე საერთაშორისო კონფერენციების მოწყობისა, თუ მონაწილეობის კუთხით. 2014 წლიდან ჩატარებულია 3 საერთაშორისო კონფერეცია (https://www.bsami.org/, http://mta.gov.ge/index.php?m=11&news_id=83&year=2017&lng=eng, http://imla.bsma.edu.ge/). სტანდარტის აღნიშნულ პუნქტთან მიმართებით სასწავლებელს ჰქონდა რეკომენდაცია შეემუშავებინა სტრატეგია, რაც ხელს შეუწყობდა სამაგისტრო ნაშრომების ხარისხისა და ეფექტურობის ამაღლებას, ასევე აკადემიური პერსონალის დაინტერესებას და ჩართვას კვლევით საქმიანობაში. 2020 წელს უნივერსიტეტს შემუშავებული აქვს 2020-2024 წლების კვლევითი საქმიანობის განვითარების სტრატეგია, სადაც აქცენტი გამახვილებულია აკადემიური პერსონალის ჩართულობის მხარდაჭერაზე კვლევით საქმიანობაში და დოქტორანტურის პროგრამების განვითარებაზე, თუმცა ასევე 2020 წელს უნივერსიტეტს აქვს შემუშავებულია სასწავლო პროცესის პროცესურა, სწავლების საფეხური - მაგისტრატურა, სადაც დეტალურადაა გაწერილი პროცედურები სამაგისტრო ნაშრომების ხარისხის და ეფექტურობის ამაღლების ხელშესაწყობად. 2020 წლის აპრილში სასწავლებელმა შეიმუშავა კვლევითი საქმიანობის განვითარების 5 წლიანი სტრატეგიული გეგმა, სადაც დარგის სპეციფიკიდან გამომდინარე ჩამოყალიბდა კვლევითი პროექტების შერჩევისათვის 6 პრიორიტეტული საზღვაო მიმართულება. აღნიშნული მიმართულებები მოიცავს საზღვაო დარგის როგორც ეკონომიკურ, ასევე ტექნოლოგიურ, ლოჯისტიკურ, გარემოს დაცვით, საზღვაო

საგანმანათლებლო სისტემისა თუ სხვა სახის ინოვაციურ განვითარებას. სტრატეგიულ გეგმაში განსაზღვრულია კვლევითი საქმიანობის პოლიტიკა, რომელიც ეფუძნება ისეთ ძირითად პრინციპებს, როგორიცაა აკადემიური თავისუფლება და აკადემიური პატიოსნება, მატერიალური ბაზის შექმნა და ფინანსური მხარდაჭერა, სტუდენტების ჩართულობის გაზრდა, უცხოურ და ეროვნულ უმაღლეს უნივერსიტეტებთან პარტინიორობის გაზრდით.

დაწესებულებამ 2018 წლის შემდგომ ინიცირება მოახდინა და ახორციელებს 3 კვლევით პროექტს: ენის სახელმწიფო დეპარტამენტთან ერთად საზღვაო ლექსიკონის შექმნა-ჩამოყალიბება, რომელიც ეხება ქართული საზღვაო ტერმინოლოგიის შესაბამისობაში მოყვანა თანამედროვე საერთაშორისო სტანდარტებთან; ქარის ენერგიის გამოყენებით ტურბინის შექმნა, რომელზეც პატენტის უფლების მიღებისათვის მიმართა საქპატენტს (გამოგონება განეკუთვნება ბუნებაში არსებული განახლებადი ენერგიის ერთ-ერთი წყაროს-ქარის კინეტიკური ენერგიის ბრუნვით მექანიკურ ენერგიაში გარდაქმნის სფეროს.) და ERASMUS+ ის ერთობლივ პროექტში ჩართულობა აკადემიური კეთილსინდისიერების მიმართულებით, რომლის მიზანია მიზანია საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში ჩამოყალიბდეს სწავლების, შეფასებისა და კვლევითი საქმიანობის განხორციელების აკადემიურ კეთილსინდისიერებაზე დაფუძნებული პოლიტიკა და შემუშავდეს ისეთი მექანიზმები, რომელიც ხელს შეუწყობს სწავლებასა და კვლევით საქმიანობაში სიყალბისა და პლაგიატის შესახებ ცნობადობი სამაღლებას, პლაგიატის შემთხვევების გამოვლენას, პრევენციასა და აღმოფხვრას. ასევე ჩართულია საერთაშორისო პროექტში IAMU-ს ორგანიზებით, რომლის მიზანს წარმოადგენს ადამიანის ფსიქოლოგიური მდგომარეობის გავლენა სწავლისა და დავალებების შესრულებაზე, ასევე, მეზღვაურის პროფესიული საქმიანობის შესრულების დროს. აღნიშნულ პროექტებში ჩართულია სასწავლებლის ახალგაზრდა კადრებიც და სტუდენტებიც, რაც დადასტურდა ინტერვიუს დროს. ეს პროექტები არის კვლევითი პროექტები და ჩართულია აკადემიური პერსონალი, ასევე სტუდენტები, მათ ორის ერთი ბაკალავრიატის სტუდენტი.

ინსტიტუცია მუშაობს სადოქტორო პროგრამის შემუშავებაზე. ასევე, განიხილებოდა პარტნიორ დაწესებულებებთან ერთობლივი სადოქტორო პროგრამის განხორციელების საკითხიც. უნდა აღნიშნოს, რომ 2 წლის შემდეგაც უნივერსიტეტს ჯერ კიდევ არ აქვს შემუშავებული სადოქტორო პროგრამა. უნდა აღინიშნოს, რომ 2019 წელს ბსსა-ს და ფლენსბურგის გამოყენებით მეცნიერებათა უნივერსიტეტს შორის დადებული მემონადუმის თანახმად, დაგეგმილია ერთობლივი კვლევითი აქტივობები, მათ შორის პროგრამებისა და სილაბუსების შედარება სამომავლო ურთიერთობისათვის. 2017 წელს კარადენიზის უნივერსიტეტთან დადებული წინასწარი ხელშეკრულების მიხედვით, იგეგმება ერთობლივი სამაგისტრო და დოქტორანტურის პროგრამების მომზადება. დღეის მდგომარეობით, უნივერსიტეტში მიმდინარეობს სადოქტორო პროგრამების მიმართულებების დადგენის პროცესი.

უნივერსიტეტი ახორციელებს პირველი და მეორე საფეხურის უმაღლესი განათლების საფეხურს, თუმცა სტრატეგიული განვითერების 7 წლიან გეგმაში სასწავლებელს გაცხადებული აქვს დოქტურანტურის პროგრამების განვითარება. ამ ეტაპზე სასწავლებელს არ აქვს დოქტურანტურა და შესაბამისად სადოქტორო კვლევების ხელმძღვანელობის ეფექტურობა ვერ შეფასდება. აქედან გამომდინარე კვლევითი საქმიანობა უნივერსიტეტში წარმოდგენილია სამაგისტრო პროგრამებით გათვალისწინებული ნაშრომებით და ასევე აკადემიური პერსონალის ინდივიდუალური თუ ჯგუფური მუშაობით. უნდა აღინიშნოს, რომ აკადემიური პერსონალი ცდილობს განხორციელბული კვლევის შედეგების ინტეგრირებას სასწავლო პროცესში, კერძოდ, სილაბუსებში მათ ასახვას. ასევე, არის ისეთი კვლევებიც, მაგალითად, ქარის ენერგიის გამოყენებით ტურბინის შექმნა, რომლის შედეგები ჯერ სასწავლო პროცესში ასახული არ არის, თუმცა პროექტში მომუშავე გუნდი გეგმავს, მიღწეული შედეგების გამოყენებას სასწავლო პროცესში.

უნივერსიტეტს აქვს შემუშავებული აკადემიური პერსონალის და მოწვეული მასწავლებლების აკადემიური დატვირთვის და ანაზღაურების ოდენობის განსაზღვრის წესი, რომლის თანახმად განსაზღვრულია, თუ ვინ არის ჩართული სამეცნიერო და აკადემიურ საქმიანობაში. აკადემიის აკადემიური პერსონალის საშტატო დაატვირთვაში აკადემიურ აქტივობებთან ერთად, ჩანს, რომ მათი მოვალეობები სამეცნიერო-კვლევით საქმიანობასთან დაკავშირებით. როგორც ინტერვიუებიდან გამოირკვა, თანაფარდობა ხელმღვანელსა და მაგისტრანტებს შორის არის 1:2. არ არის ზუსტად დადგენილი სამაგისიტრო ნაშრომების დაცვის მაჩვენებელი, რაც გასაუბრების დროს იმით აიხსნა, რომ საზღვაო დარგი სპეციფიურია, რადგან სტუდენტებს

დიდი ხნით უწევთ შორეულ ნაოსნობაში ყოფნა, რის გამოც მათი სამაგისტრო ნაშრომების დაცვის პერიოდები ხანგრძლივდება. ამის დასტურია უნივერსიტეტის მიერ წამორდგენილი სტუდენტთა ინდივიდუალური სასწავლო გეგმები და ინტერვიუს შედეგები.

რაც შეეხება ხელმძღვანელის ფუნქციებს, ცალკე, დამოუკიდებლად არ არის გაწერილი საბაკალავრო და სამაგისტრო თემების ხელმძღვანლების ფუნქციები, ის წარმოადგენს პერსონალის ხელშეკრულების ნაწილს. უნივერსიტეტს აქვს შემუშავებული პლაგიატის დაძლევისა და აკადემიური კეთილსინდისირების დამკვიდრების პოლიტიკა. გასაუბრებიდან ჩანს, რომ სამაგისტრო ნაშირომის შეფასების სისტემა ცნობილია მაგისტრანტებისათვის, თითოეული გამოკითხული მაგისტრანტი ინფორმირებულია პლაგიატის სისტემის შესახებ, ისინი, ვისაც უკვე დასრულებული აქვთ სამაგისტრო ნაშრომი, შემოწმებულიც აქვთ ის ტურნიტინის პროგრამაში, რომელსაც უნივერსიტეტი იყენებს ილიაუნის მარდაჭერით, საერთაშორისო პროექტის ფარგლებში. უნივერსიტეტი რეგულარულად ატარებს სტუდენტთა გამოკითხვებს, რასაც ადასტურებს როგორც მათ მიერ წარმოდგენილი გამოკითხვის შედეგების ამსახველი მასალა, ასევე სტუდენტებთან გასაუბრება. უნივერსიტეტის მიერ დასკვნის პროექტის გაცნობის შემდეგ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციიდან ჩანს, რომ საბაკალავრო და სამაგისტრო თემების ხელმძღვანელების ფუქციები გაიწერა პროცედურებში: 1."სასწავლო პროცესის პროცედურა. საბაკალავრო სწავლების საფეხური", 2."სასწავლო პროცესის პროცედურა. თანდართულ დოკუმენტში გაწერილია მხოლოდ სამაგისტრო თემის ხელმძღვანელის ფუნქციები. მიუხედავად, წარმოდგენილი დოკუმენტისა, ექსპერტთა ჯგუფი არ განიხილავს მის რელევანტურობას.

ბსა-მ წარმოადგინა აკადემიური პერსონალის კვლევითი საქმიანობის ანგარიში შედეგების ანალიზი ფაკულტეტების მიხედვით, ასევე რაოდენობრივი ანალიზის ამსახველი დოკუმენტი. ამ დოკუმენტების თანახმად, კერძოდ,ბიზნესისა და მართვის ფაკულტეტის საბჭოს სხდომის ოქმიდან ჩანს, რომ ანალიზის შედეგებმა აჩვენა საჭიროება იმისა, რომ სამეცნიერო მუშაობის ორგანიზების საკითხი უნდა გადაეცეს ბიზნესისა და მართვის ფაკულტეტს. ნავიგაციის ფაკულტეტზე გამართული საბჭოს სხდომის ოქმის თანახმად, ამ ფაკულტეტის მიერ უნდა მოხდეს სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის დაგეგმვა და ორგანიზება. იგივე დასკვნა გაკეთდა საინჟინრო ფაკულტეტის მიერ შესაბამის ფაკულტეტზე. უნივესიტეტი ცდილობს ხელი შეუწყოს სამეცნიერო აქტივობებს უნივერსიტეტში, რაზეც მეტყველებს მათი დახმარებით პერსონალის მონაწილეობა საერთაშორისო აქტივობებში, მათ შორის სამეცნიერო კონფერენციებში და პროექტებში, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ კარგი იქნებოდა, თუ უნივერსიტეტი მეტად იზრუნებდა საკუთარი გამოცემების გაფართოებაზე. 2020 წელს უნივერსიტეტმა შეიმუშავა ბიბლიოთეკის დებულება, სადაც აღწერილია სამეცნიერ-კვლევითი და საგამომცემლო საქმიანობის სამმართველოს ფუნქციები. აღნიშნული სამმართველო დღეის მდგომარეობით სრულფასოვნად ვერ ფუნქციონირებს, რასაც ადასტურებენ უნივერსიტეტის ადმინისტრაცია და სამეცნიერო-კვლევით აქტივობებში ჩართული პერსონალი, თუმცა იმასაც აღნიშნავენ, რომ ეს მეტწილად გამოწვეულია ახალი კორონა ვირუსის პანდემიის გამო. სამმართველოს ფუქციებში შედის სამეცნიერო საქმიანობის კურირება და მონოტორინგი უნივერსიტეტში, ისევე, როგორც კონფერენციების და სიმპოზიუმების მხარდაწერა და ჩატარება, სხვა სამეცნიერო საჭიროებების დაგეგმვა. უნდა აღინიშნოს, რომ უნივერსტიტეტი გეგმავდა საერთაშორისო კონფერენციის ჩატარებას მიმდინარე წლი შემოდგომაზე, სწორედ ამ სამმართველოს ორგანიზებით, თუმცა ის შექმნილი მდომარეობიდან გამომდინარე, გადადებულია. როგორც გასაუბრების დროს აღნიშნავენ, სტატიები ამ კონფერენციის კრებულისათვის ზოგიერთ აკადემიურ პერსონალს უკვე მზად აქვს და გატარებულიც აქვს პლაგიატზე.

აღსანიშნავია, რომ სტუდენტთა მთლიანი რაოდენობიდან დაახლოებით 3400 სტუდენტიდან მხოლოდ 278 სტუდენტია მაგისტრატურის საფეხურზე, რომელთაგან 119-ს შეჩერებული აქვს სტუდენტის სტატუსი. მოწოდებული სტატისტიკიდან ჩანს, რომ სტატუსი შეჩერებული აქვთ არააკრედიტებულ პროგრამებზე. სასურველია სასწავლებელმა მოიკვლიოს სამაგისტრო პროგრამებზე სტუდენტების მიერ სწავლის შეწყვეტის მიზეზი და სასწვალებელმა უფრო აქტუალური აკრედიტებული სამაგისტრო პროგრამები განავითაროს, რაც უფრო გაამლიერებს სასწავლებლის კვლევით კომპონენტს და შესაბამისად მოამზადებს საფუძველს სადოქტორო პროგრამების დანერგვისათვის. ექსპერტთა მიერ გამოთხოვილ იქნა მაგისტრატურის სტუდენტების ინდივიდუალური სასწავლო გეგმები. უნივერსიტეტმა წარმოადგინა

ნავიგაციის და საინჟინრო ფაკულტეტების 2018-2019 სასწავლო წლის მე-2 სემესტრის მეცადინეობის ცხრილი, რომლის მიხედვითაც სწავლა ამ საფეხურის სტუდენტებისთვის დღის მეორე ნახევარში მიმდინარეობს. ასევე, წარმოდგენილია 2 სტუდენტის პირადი საქმე, სადაც ჩანს, რომ ნაოსნობაში წასვლის მიზნით, სტუდენტის განცხადების საფუძველზე, მას უჩერდება სტუდენტის სტატუსი, ხოლო დაბრუნების შემდეგ, ხდება მისი აღდგენა. სტუდენტებთან გასაუბრების შედეგად, გამოიკვეთა, რომ მათ აქვთ უნივერსიტეტის მხრიდან ხელშეწყობა, კერძოდ, სარგებლობენ ინდივიდუალური სასწავლო გეგმებით. წარმოდგენილია ბრძნანებები, სტუდენტთა ინდივიდუალურ სასწავლო პროგრამაზე გადაყვანის შესახებ. უნდა აღინიშნოს, რომ მიუხედავად იმისა, რომ ინდივიდუალური სასწავლო გეგმებით სარგებლობენ მაგისტრატურის სტუდენტები, 2018 წლის ავტორიზაციის დასკვნაში წარმოდგენილი რეკომენდაცია იმის თაობაზე, რომ შემუშავებულ იქნას სტრატეგია ამ საკითხთან დაკავშირებით, ცალკე სტრატეგიის დოკუმენტის სახით უნივერსიტეტს არ აქვს შემუშავებული. თუმცა, გასათვალისწინებელია ის ფაქტი, რომ ინდივიდუალურ სასწავლო განრიგზე მაგისტრატურის სტუდენტთა გადაყვანა დანერგილი პრაქტიკაა უნივერსიტეტისათვის.

საბაკალავრო საფეხურზე კვლევითი კომპონენტი მცირე ნაწილით გათვალისწინებულია პრაქტიკული სწავლების დროს, რაც 30 კრედიტს მოიცავს. აღნიშნული დაემატა 2019 წლიდან, რაც მისასალმებელია, თუმცა წარმოდგენილი ნაშრომების შეფასების საფუძველზე სასურველია თუ აღნიშნულ პროექტში განსაზღვრული იქნება სტუდენტისათვის კონკრეტული დავალება და დაემატება უფრო მეტი გამოთვლითი ან კვლევითი კომპონენტები.

ექსპერტთა ჯგუფის მიერ გამოთხოვილ იქნა რამდენიმე სამაგისტრო ნაშრომი. ზოგადად, წარმოდგენილი სამაგისტრო პროგრამები ეხმიანება სფეროში არსებულ თანამედროვე საკითხებს, თუმცა სასურველია სამაგისტრო ნაშრომებში მეტი ყურადღება დაეთმოს ნაშრომის გაფორმების სტანდარტებს, კერძოდ კი ციტირებისა და გამოყენებული ლიტერატურის სწორად წარმოდგენას. ნაშრომების შეფასებისას დაფიქსირდა რომ მასში მითითებული ლიტერატურა შესაბამისად არ აისახება ტექსტურ ნაწილში ციტირების სახით, ზოგიერთი ლიტერატურა ნაშრომის ტექსტში არ არის მითითებული როგორც წყარო. ციტირებები არ არის აღნიშნული ასევე ნაშრომში წარმოდგენილ გრაფიკულ გამოსახულებებზე და ცხრილებზე. აღნიშული მიუთითებს, რომ სტუდენტებს ესაჭიროებათ ნაშრომის გაფორმების საკითხებში უფრო მეტი გათვიცნობიერება. რეკომენდირებულია ასევე ხელმძღვანელების მიერ დაცვამდე უფრო მეტი რეკომენდაცია გაეწიოთ სტუდენტებს ამ მხრივ და ნაშრომების შეფასებისას. აღნიშნულ საკითხთან მიმართებით, უნივერსიტეტმა არგულენტირებულ პოზიციაში მიუთითა ცვლილებები, რაც განხორციელდა ექსპერტთა ვიზიტის შემდგომ, თუმცა ექსპერტთა მიერ ვერ შეფასდება წარმოდგენილი დოკუმენტი.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- ბათუმის საზღვაო აკადემიის მისია;
- განვითარების სტრატეგიული გეგმა (2018-2024წწ.);
- კვლევითი საქმიანობის განვითარების სტრატეგიული გეგმა (2020-2024 წწ.);
- სასწავლო პროცესის პროცედურა. სწავლების საფეხური - მაგისტრატურა;
- 2018 წლის 1 სექტემბრის ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილების საიმპლემენტაციო გეგმა;
- ბათუმის საზღვაო აკადემიის აკადემიური პერსონალის სამეცნიერო აქტივობები;
- პლაგიატის დაძლევისა და აკადემიური კეთილსინდისიერების დამკვიდრების პოლიტიკა;
- პლაგიატის პრევენციის და რეაგირების ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი სსიპ - სახელმწიფო ენის დეპარტამენტსა და სსიპ ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიას შორის;
- ბრძანება ინგლისურ-ქართული საზღვაო ტერმინოლოგიის ნაბეჭდი და ელექტრონული თარგმნით/განმარტებითი-ილუსტრირებული ლექსიკონის შექმნის მიზნით სამუშაო ჯგუფის შექმნის თაობაზე;
- პრაქტიკის ანგარიშები;
- ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა და პროცედურა;
- აკადემიური პერსონალის და მოწვეული მასწავლებლების აკადემიური დატვირთვის და ანაზღაურების ოდენობის განსაზღვრის წესი;
- ფაკულტეტების სხდომის ოქმები;

- სტუდენტთა ინდივიდუალური სასწავლო გეგმები;
- სამაგისტრო ნაშრომები;
- ბიბლიოთეკის დებულება;
- ინტერვიუები.

რეკომენდაციები:

- ჩამოყალიბებულ იქნას დეტალურად სამაგისტრო და საბაკალავრო თემების ხელმძღვანელის ფუნქციები;
- სამაგისტრო ნაშრომების შესრულების დაწყებამდე მოხდეს მის გაფორმებასთან დაკავშირებული საკითხების დეტალური გაცნობა სტუდენტთათვის, განსაკუთრებით გამოყენებული ლიტერატურის სწორად ციტირებასთან მიმართებაში, რაც შემდგომ გავლენას მოახდენს ნაშრომის შეფასებაზე.

რჩევები:

- სასურველია თუ საბაკალავრო პროექტში განსაზღვრული იქნება სტუდენტისათვის კონკრეტული დავალება და დაემატება უფრო მეტი გამოთვლითი ან კვლევითი კომპონენტები;
- სასურველია სასწავლებელმა მოიკვლიოს სამაგისტრო პროგრამებზე სტუდენტების მიერ სწავლის შეწყვეტის მიზეზი და სასწვალებელმა უფრო აქტუალური აკრედიტებული სამაგისტრო პროგრამები განავითაროს, რაც უფრო გააძლიერებს სასწავლებლის კვლევით კომპონენტს და შესაბამისად მოამზადებს საფუძველს სადოქტორო პროგრამების დანერგვისათვის;
- კარგი იქნება, თუ უნივერსიტეტი იზრუნებს სამეცნიერო გამოცემების ზრდაზე.

შეფასება:

მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით:

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☒ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

6.2. კვლევის მხარდაჭერა და ინტერნაციონალიზაცია

- უსდ-ს გააჩნია კვლევის, განვითარებისა და სახელოვნებო-შემოქმედებითი საქმიანობის მხარდაჭერის ეფექტური სისტემა.
- ახალი კადრების მოზიდვა და ჩართვა კვლევით/სახელოვნებო საქმიანობაში.
- უსდ ზრუნავს კვლევითი/განვითარების/ შემოქმედებითი საქმიანობის ინტერნაციონალიზაციაზე.

სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

სტანდარტის აღნიშნულ პუნქტთან მიმართებით სასწავლებელს ჰქონდა შემდეგი რეკომენდაცია „აკადემიამ უნდა შეიმუშავოს სტრატეგია, რომელიც შესაძლებელს გახდის აკადემიური და მოწვეული პერსონალის ჩართვას კვლევით პროექტებში, სამაგისტრო ნაშრომებზე ეფექტური ზეგავლენის მიზნით“.

სამეცნიერო კვლევითი საქმიანობა ძირითადად ფინანსდება აკადემიის ბიუჯეტიდან ან მოპოვებული გრანტებიდან. დაწესებულება ღებულობს დაფინანსებას ადგილობრივი მთავრობისაგან და ასევე ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსგან. ბიუჯეტი მტკიცდება ყველა სტრუქტურული ერთეულიდან მიღებული ინფორმაციის საფუძველზე წლის ბოლოს სენატის მიერ. სასწავლებლის მიერ წარმოდგენილ სამწლიან სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია ასევე აკადემიის სამი წლის ზოგადი ბიუჯეტი, სადაც კვლვევით საქმიანობაზე მხარდასაჭერი აქტივობების, ისეთების როგორიცაა ინფრასტრუქტურისა და ინვენტარის განახლება, თანამშრომელთა მივლინება, სესიებისა და კონფერენციების მოწყობა, თანამშრომელთა გადამზადება გათვალისწინებული ხარჯები არის მზარდი. ინტერვიუს დროსაც დადასტურდა ბიუჯეტის ნაწილში კვლევებთან დაკავშირებული თანხების ზრდის დინამიკა. სამწლიანი სამოქმედო გეგმა რომელიც სტრატეგიული განვითარების საფუძველზეა ჩამოყალიბებული სამეცნიერო კვლევითი საქმიანობის განვითარებისათვის, რომელიც სტრატეგიული

განვითარების გეგმის ერთ-ერთი სტრატეგიული მიზანია, განსაზღვრულია კონკრეტული ქმედებები, მათ შორის არის კვლევითი საქმიანობისათვის საჭირო ინფრასტრუქტურის მოწყობა, ლაბორატორიების განახლება და საჭირო ინვენტარის შეძენა. აღსანიშნავია, რომ დაწესებულებამ ბოლო სამი წლის განმავლობაში შეიძინა და გაახლა სამანქანე განყოფილება, სადაც შესაძლებელი იქნება გემის ძრავების, ტუმბოების, ელექტრო მოწყობილობების პრაქტიკულად შესწავლა და მასზე ცდების ჩატარება.

კვლევითი საქმიანობის მხადაჭერისა და სამართლიანად წარმართვის მიზნით აკადემიამ 2019 წლის მარტში შეიმუშავა „სამეცნიერო-კვლევითი პროექტის განხორციელების და დაფინანსების წესი“. აღნიშნული წესის შესაბამისად კვლევითი პროექტის ინიცირება შუძლია აკადემიასთან შრომით ხელშეკრულებაში მყოფ პედაგოგიურ პერსონალს. პროექტის შეფასება ხდება ქულებით აკადემიის რექტორის ბრძანების საფუძველზე ყოველწლიურად შექმნილი კომისიის მიერ. პროექტის განხორციელებას მონიტორინგს უწევს სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის კოორდინატორი, რომელიც უნდა აწარმოებდეს რეესტრს მიმდინარე პროექტების ანგარიშის შესახებ და შესაბამისად ახდენდეს ანგარიშგებას რექტორთან და სენატთან. საკვლევი პროექტების შეფასებისა და დაფინანსების მექანიზმები აღწერილია სამეცნიერო-კვლევითი პროექტის განხორციელებისა და დაფინანსების წესში, სადაც ჩამოყალიბებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტის ინიცირების პროცედურები, ასევე მიზნობრივი და სხვა სახის საგრანტო პროექტების შესახებ. ამავე დოკუმენტში წარმოდგენილია სამენიერო-კვლევითი პროექტის შეფასების წესი და გასაჩივრების პროცედურები, პროექტების მართვის, მონიტორინგისა და ანგარიშგების წესები.

ახალგაზრდა კადრების მოზიდვას და ჩართვასთან დაკავშირებით უნივერსიტეტში შემუშავებულია დოკუმენტები: „ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა და პროცედურა“, სამეცნიერო-კვლევითი პროექტის განხორციელებისა და დაფინანსების წესი“, „კვლევითი საქმიანობის განვითარების სტრატეგიული გეგმა“, „აკადემიური პერსონალის და მოწვეული მასწავლებლების აკადემიური დატვირთვისა და ანაზღაურების ოდენობის განსაზღვრის წესი“. თითეული ამ დოკუმენტის ცაკლეულ პუნქტებში ყურადღება გამახვილებულია ახალგაზრდა სამეცნიერო პერსონალის ზრდასა და ხელშეწყობაზე. ინტერვიუს შედეგებმა აჩვენა, რომ ახალგაზდების გარკვეული ნაწილი ჩართულია სამეცნიერო პროექტების განხორციელებაში, მათ შორის არიან ბაკალავრიატის და მაგისტრატურის სტუდენტებიც, ასევე სხვა უნივერსიტეტების დოქტორანტები, ვინ სხვადასხვა პოზიციებზე მუშაობენ ბათუმის საზღვაო აკადემიაში.

უნივერსიტეტის მიერ 2018 წელს შემუშავებული ინტერნაციონალიზაციის სტრატეგიის მე-9 პუნქტი ეხება საერთაშორისო სტუდენტების, ლექტორების და მკვლევარების მხარდაჭერას. აღნიშნული საკითხის პრაქტიკაში განხორციელების შედეგები გადამოწმდა როგორც ადმინისტრაციულ ერთეულებთან, ასევე, აკადემიურ პერსონალთან ინტერვიუების დროს. უმრავლეს შემთხვევებში პერსონალის მხარდაჭრის კუთხით, უნივერსიტეტი ცდილობს ხელი შეუწყოს მათ კვლევით საქმიანობაში, რისთვისაც გარვეულ ფიფნასურ მხარდაჭერას სთავაზობს, ეს არის, როგორც სამეცნიერო შვებულება, ასევე, მათი კონფერენციემში მონაწილეობის დაფინანსება, სტატიების ბეჭდვა, თუმცა არის რიგი პერსონალი, ვინც ჯერ კიდევ საკუთარი სახსრებით აფინანსებენ სამეცნიერო კვლევებს. უნივერსიტეტი გრანტების შესახებ ინფორმაციას აწვდის პერსონალს და ყველა დაინტერესებულ პირს. როგორც გასაუბრების დროს გაირკვა, ამ ინფორმაციის გაგება შესაძლებელია უნივერსიტეტის ვებ გვერდიდან. აღნიშნული დასტურდება კვლევით პროექტებში ჩართული სტუდენტების მხრიდანაც. სტუდენტები აქტიურად მაინც ვერ იყენებენ მობილობის შესახებ გრანტებს და ეს გამოწვეულია დარგის სპეციფიკიდან, იმის გამო, რომ სტუდენტებს დიდი ხნით უწევთ საზღვაო პრაქტიკის გავლა, რის გამოც ვერ ახერხებენ საერთაშორისო მობილობებს. აქედან გამომდინარე, აუცილებელია, რომ უნივერსიტეტის მხრიდან სისტემური ხასიათი ჰქონდეს სამეცნიერო კვლევების მხარდაჭერის ღონისძიებებს, როგორც აკადემიური პერსონალისთვის, ასევე სტუდენტებისათვის.

დამატებით არსებობს ასევე წესი სტუდენტური პროექტების წარდგენისა და დაფინანსების პროცედურა, რომელიც შემუშავებულის 2018 წლის აპრილში. სტუდენტთა მიერ წარდგენილი პროექტის

მიზანშეწონილობა განიხილება და ფასდება რექტორის ბრძანებით შექმნილი მუდმივმოქმედი საბჭოს მიერ.

კვლევითი საქმიანობის გაძლიერებისათვის აკადემია მნიშვნელობას ანიჭებს ინტერნაციონალიზაციის განვითარებას, რაც გამოიხატება იმაში, რომ სასწავლებელი აქტიურად არის ჩართული უცხოელ თუ ეროვნულ პარტნიორებთან თანამშრომლობაში. აღნიშნული მიმართულების მხარდასაჭერად 2019 წელს შეიქმნა სტრუქტურული ერთეული „პროექტების მართვის, ინტერნაციონალიზაციისა და კარიერული მხარდაჭერის დეპარტამენტი“, რომელიც ხელს უწყობს და კოორდინირებას უწევს სტუდენტთა და პროფესორთა მობილობას სხვადასხვა უცხოურ სასწავლებლებში, ასევე ახალი პარტინიორებების მოძიებასა და თანამშრომლობის ჩამოყალიბებას.

 უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილია ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკა, სადაც უნივერსიტეტის მიზანია განავითაროს პარტნიორობა (გამოყენებით კვლევებთან ერთად) შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე საერთაშორისო ინსტიტუტებთან და აამაღლოს წარმატების ხარისხი საგრანტო საერთაშორისო პროექტების მოზიდვით. ამ კუთხით უნივერისიტეტმა წარმოადგინა პარტნიორ ინსტიტუციებთან დადებული ხელშეკრულებები/მემორანდუმები, რაც მეტყველებს უნივერსიტეტის მხრიდან ამ მიმართულებით წამოწყებულ აქტივობებს. 2020 წელს უნივერსიტეტს შემუშავებული აქვს პროეტების მართვის, ინტერნაციონალიზაციისა და კარიერული მხარდაჭერის დეპარტამენტის დებულება, რომელიც კვლევითი პროექტების ერთ-ერთ მხარდამჭერ მექანიზმს წარმოადგენს.

მნიშვნელოვანია ასევე აკადემიის სხვადასხვა საერთაშორისო საზღვაო ასოციაციების წევრობა, ისეთების როგორიცაა IAMU (საერთაშორისო საზღვაო უნივერსიტეტების ასოციაცია 65 წევრი საზღვაო უნივერსიტეტით) IMLA (საერთაშორისო საზღვაო ლექტორთა ასოციიაცია) BSAMI (შავი ზღვის საზღვაო უნივერსიტეტთა ასოციაცია). აღნიშნულ ასოციაციებთან თანამშრომლობით აკადემიის სტუდენტებსა და აკადემიურ პერსონალს აქვს საშუალება მონაწილეობა მიიღონ და წარადგინონ ნაშრომები საერთაშორისო კონფერენციებში, სემინარებში. IAMU-ს კონფერენციაში არაერთხელ მიღებულმა წარმატებამ განაპირობა ის რომ სასწავლებელმა მოიპოვა უფლება 2020 წლის კონფერენციის საქართველოში ჩატარების, რომელშიც მონაწილეობას მიიღებს IAMU-ს წევრი უნივერსიტეტის პროფესორ მასწავლებელები. თუმცა პანდემიით გამოწვეულმა სიტუაციამ აღნიშნული კონფერენციის ჩატარება გადაიტანა 2022 წლისათვის. აღსანიშნავია რომ წარმოდგენილი ნაშრომები შეფასდება სპეციალურად შექმნილი კომისიის მიერ და მხოლოდ შეფასების შემდეგ დაიბეჭდება ინდექსირებულ ჟურნალში. სულ მონაწილეობა მიიღო 15 ქვეყნის 42 უნივერსიტეტის პროფესორ მასწავლებელმა.

ასევე მნიშვნელოვანი მოვლენა იყო აკადემიისათვის 2019 წელს IMLA-ს კონფერენციის მასპინძლობა, რომელსაც ესწრებოდა 26 ქვეყნიდან 66 დელეგატი. მათ შორის იყო 22 აკადემიის წარმომადგენელი და 44 უცხო ქვეყნიდან.

2019 წელს აკადემიამ დაამყარა თანამშრომლობა გერმანიის ფლენსბურგისა და ვისმარის საზღვაო უნივერსიტეტებთან, რომელთან ერთადაც გეგმავს ინგლისურენოვანი ორმაგი პროგრამის შექმნასა და იმპლემენტაციას. აღნიშნულ თანამშრომლობის ფარგლებში ხსენებული უნივერსიტტეტბიდან აკადემიაში იმყოფებოდნენ პროფესორ-მასწავლებელები, რომლებმაც ჩაატარეს ერთობლივი ლექციები გამცდილებისა და პრაქტიკის გაზიარების მიზნით. ასევე აკადემიის ორი თანამშრომელი იმყოფებოდა გერმანიის ამ უნივერსიტეტებში 2 კვირით რათა გაცნობოდნენ სწავლებისა და შეფასების მეთოდებს.

აკადემია ჩართულია ასევე ERASMUS+ ის პროექტში, რომლის ფარგლებში ახორციელებს თავისი სტუდენტებისა და მასწავლებლების მობილობას შანჰაისა და სხვა ევროპულ უნივერსიტეტებში. 2019 წლის განმავლობაში განხორციელდა სტუდენტთა და მსწავლებელთა მობილობა 10 სხვადასხვა სასწავლებელში, მიმდინარე სემესტრში განხორციელდა 2 სტუდენტის მობილობა პოლონეთის სილეზიის უნივერსიტეტში, თუმცა ახალი კორონა ვირუსის პანდემიის გამო, ერთმა სტუდენტმა შეწყვიტა მობილობა და დაბრუნდა სამშობლოში. მეორე სტუდენტი განაგრძობს მობილობას და როგორც მასთან ინტერვიუს დროს აღინიშნა, მას მიღებული აქვს უნივერსიტეტის მხრიდან სხვადასხვა ტიპის მხარდამჭერი ღონისძიებები, როგორც მობილობის პროცესში, ასევე პანდემიით გამოწვეული სიტუაციის პირობებში. ERASMUS+ პროექტის ფარგლებში აკადემია 2017 წლიდან ჩართულია პროექტში SMALOG, რომელიც

მიზნად ისახავს ერთობლივი სამაგისტრო პროგრამის ან მოდულის შემუშავებას. პროექტის ფარგლებში ასევე დაგეგმილია გაცვლითი პროგრამები.

2019 წლიდან აკადემია პარტნიორული თანამშრომლობა დაიწყო ნორვეგიის, ესტონეთის, პოლონეთის საზღვაო უნივერსიტეტებთან, რომელთა შეთანხემბის ფარგლებში შესაძლებელი იქნება სტუდენტთა და პროფესორ-მასწავლებელთა გაცვლითი პროგრამები.

აღსანიშნავია ასევე ERASMUS+ SMALOG (smart logistic) პროექტი, სადაც აკადემია 2017 წლიდან არის ჩართული და ემსახურება ერთობლივი სამაგისტრო პროგრამის მოდულების შემუშავებას. პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია როგორც აკადემიური პერსონალის ასევე სტუდენტების მობილობა. უნივერსიტეტის მხრიდან წარმოდგენილია ბოლო 3 წლის საერთაშორისო მობილობის მაჩვენებელი, როგორც აკადემიური პერსონალის (5 აკადემიური პერსონალი), ასევე მაგისტრატურის სტუდენტების (8 სტუდენტი), უცხოეთის 12 უნივერსიტეტთან. განხორციელებულია 18 უცხოელი პროფესორის ვიზიტი ბათუმის საზღვაო აკადემიაში.

დაწესებულებამ 2020 წელს წარმოდგენილ ანგარიშში, 6.2. კომპონენტის ფარგლებში გაანალიზა 2018 წელს ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემული რეკომენდაცია, რომ უნივერსიტეტმა უნდა შეიმუშაოს და განახორციელოს აკადემიური პერსონალის სამოტივაციო სისტემა მათი წახალისების მიზნით, განსაკუთრებით კი სამეცნიერო საქმიანობის კუთხით. ასევე, შემუშავდეს და განხორციელდეს ახალი თაობის მოზიდვის პოლიტიკა, როგორც საგანმანათლებლო, ისე კვლევით პროცესებში.

უნივერსიტეტს პერსონალის სამოტივაციო სისტემასთან დაკავშირებული საკითხები, მათ შორის, ახლაგაზრდა კადრების მოზიდვასთან დაკავშირებული საკითები, წარმოდგენილი აქვს შემდეგ დოკუმენტებში: ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა და პროცედურა“, სამეცნიერო-კვლევითი პროექტის განხორციელებისა და დაფინანსების წესი“, „კვლევითი საქმიანობის განვითარების სტრატეგიული გეგმა“, „აკადემიური პერსონალის და მოწვეული მასწავლებლების აკადემიური დატვირთვისა და ანაზღაურების ოდენობის განსაზღვრის წესი“.
ბსსა-ს 2019 წელს შემუშავებული აქვს დოკუმენტი „ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა და პროცედურა“, სადაც მუხლი 8 ეხება პერსონალის გამახადებას, განვითარებასა და შეფასებას. ამ მუხლის თანახმად, სამეცნიერო კვლევებთან მიმართებით უნდა აღინიშნოს სხვა საგანმანათლებლო დაწესებულებებთან ერთად ერთობლივი კონფერენციების ორგანიზება და ახალგაზრდა აკადემიურ პერსონალთან ინდივიდუალური მუშაობა, აგრეთვევ მათი კვლევითი საქმიანობის ხელმძღვანელობა. მუხლი 9 ეხება პერსონალის მოტივირებას და წახალისებას, სადაც მხოლოდ ახალისების ფორმებია ჩამოთვლილი, ხოლო მუხლი 10 კი, რომელშიც პერსონალის შენარჩუნების საკითხებია აღწერილი, ასევე მოიცავს აკადემიური პერსონალის პროფესიული განვითარების პროგრამებს, კერძოდ, აკადემიის მიერ კვლევითი გრანტებისა და სამეცნიერო-შემოქმედებითი შვებულების უზრუნველყოფა. უნივერსტიტეტს შემუშავებული აქვს სამეცნიერო-კვლევითი პროექტის განხორციელებისა და დაფინანსების წესი, ასევე კვლევითი საქმიანობის განვითარების სტრატეგიული გეგმა 2020-2014 წლებისათვის, სადაც ნათქვამია, რომ კვლევაში მონაწილე პერსონალს შეუქმნის კვლევის განხორციელებისათვის საჭირო პირობებს, იზრუნებს კვლევის შედეგების გამოქვეყნებაზე, გავრცელებასა და ხელმისაწვდომობაზე, წაახალისებს აკადემიურ პერსონალს და სტუდენტებს წარმატებული კვლევების განხორციელებისათვის. აკადემიური პერსონალის და მოწვეული მასწავლებლების აკადემიური დატვირთვისა და ანაზღაურების ოდენობის განსაზღვრის წესის თანახმად, კვლევით საქმიანობაში ჩართულ აკადემიურ პერსონალს შესაძლებელია დაუწესდეთ განსხვავებული სააუდიტორიო დატვირთვა. აღნიშნული დადასტურდა პერსონალთან ინტერვიუს დროს.
უნდა აღინიშნოს, რომ სამეცნიერო მუშაობის წახალისების სისტემის პრაქტიკაში განხორციელების მაგალითები, როგორიცაა პერსონალის სამეცნიერო შვებულება, რომელსაც არ აქვს სისტემატური ხასიათი, თუმცა ასეთი პრაქტიკა არსებობს უნივერსიტეტში. ასევე, სტატიების ბეჭდვის ხარჯების დაფინანსება, კონფერენციებზე მონაწილეობასთან დაკავშირებული ხარჯების დაფინანსება. ამ საკითხზე გაცემულ რეკომენდაციასთან დაკავშირებით უნივერსიტეტის მხრიდან, ექსპერტთა მიერ გაკეთებული დასკვნის პროექტის გაცნობის შემდგომ წარდმოგენილია სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის მხარდაჭერის მექანიზმების პროექტი და კვლევითი პროექტების ხელშეწყობის მიზნით დაფინანსებული პროექტები, თუმცა წარმოდგენილი მასალების განხილვა არ მოხდა ექსპერტთა ჯგუფის მიერ.

დაწესებულების ანგარიშში 6.2. კომპონენტის ფარგლებში ასევე განხილული იყო 2018 წლის ავტორიზაციის ფარგლებში 7.4. კომპონენტში გაცემული რეკომენდაცია, რომ აკადემიური ბიუჯეტი პრიორიტიზირებული უნდა უყოს აკადემიური და კვლევითი საქმიანობისთვის. კიდევ უფრო დეტალურად თუ განხილავთ ჩანაწერებს ამ საკითხთან დაკავშირებით, ვნახავთ, რომ იმ ეტაპზე, აკადემიური აქტივობები, ინტერნაციონალიზაცია და კვლევა არ წარმოადგენდა ბიუჯეტისთვის პრიორიტეტულ საგნებს. საკითხის შესწავლის მიზნით, თუ რა მდგომარეობაა აღნიშნულთან დაკავშირებით, ექსპერტთა მიერ უნივერსიტეტიდან გამოთხოვილ იქნა 2020 წლის ბიუჯეტის ფაილი, რომელიც უნივერსიტეტმა ზოგადი სახით წარმოადგინა და არ ჩანს უნივერსიტის ბიუჯეტის რა თანხებია გათვალისწინებული კონკრეტული კვლევითი საქმიანობის განვითარებისა და ხელშეწყობისათვის, ასევე აკადემიური საქმიანობისთვის და ინტერნაციონალიზაციისთვის. თუმცა ბიუჯეტის შემუშავებაში ჩართულ პირებთან გასაუბრების დროს გამოიკვეთა, რომ ბოლო 3 წლის დინამიკა არის მზარდი კვლევით საქმიანობასთან დაკავშირებულ თანხებთან მიმართებაში, რაც დადასტურდა უკვე შესრულებული სამუშაოებით, ინფრასტრუქტურის და კვლევებისთვის საჭირო ინვენტარის გაუმჯობესებით, მეტი პერსონალის ჩართულობით კვლევით პროექტებსა თუ სხვა კვლევით საქმინაობობებში. ასევე, აღნიშნული დასტურდება სამწლიანი სამოქმედო გეგმის შესრულების მონიტორინგის საფუძველზე.
მტკიცებულებები/ინდიკატორები: - ინტერნაციონალიზაციის სტრატეგია; - ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკა; - პროეტების მართვის, ინტერნაციონალიზაციისა და კარიერული მხარდაჭერის დეპარტამენტის დებულება; - 2020 წლის ბიუჯეტი; - სამეცნიერო-კვლევითი პროექტის განხორციელებისა და დაფინანსების წესი; - ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა და პროცედურა; - სამეცნიერო-კვლევითი პროექტის განხორციელებისა და დაფინანსების წესი ; - კვლევითი საქმიანობის განვითარების სტრატეგიული გეგმა; - აკადემიური პერსონალის და მოწვეული მასწავლებლების აკადემიური დატვირთვისა და ანაზღაურების ოდენობის განსაზღვრის წესი; - სტუდენტური პროექტების წარდგენისა და დაფინანსების წესი; - ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი სსიპ ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიასა და ფლენსბურგის გამოყენებითი მეცნიერებების უნივერსიტეტს შორის; - ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი სსიპ ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიასა და შანხაის უნივერსიტეტს შორის; - საქართველოსა და გერმანიის საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოებს შორის ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი; - სამწლიანი სამოქმედო გეგმა; - აკადემიური პერსონალის და მაგისტრატურის სტუდენტების ბოლო 3 წლის საერთაშორისო მობილობის მაჩვენებელი; - 2020 წლის ბიუჯეტი; - ინტერვიუები.
რეკომენდაციები: - სისტემური ხასიათი მიეცეს უნივერსიტეტის მხრიდან სამეცნიერო - კვლევითი საქმიანობის მხარდამჭერ ღონისძიებებს.
რჩევები: - კარგი იქნება, თუ უნივერსიტეტის ბიუჯეტს თან დაერთვება დეტალურად წარმოდგენილი ხარჯები კვლევების განხორციელების ნაწილში.

შეფასება:

მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით:

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☒ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

6.3. კვლევითი საქმიანობის შეფასება

უსდ-ს გააჩნია კვლევითი/შემოქმედებითი საქმიანობის ხარისხის, სამეცნიერო-კვლევითი ერთეულებისა და აკადემიური/სამეცნიერო პერსონალის სამეცნიერო პროდუქტიულობის შეფასებისა და ანალიზის სისტემა.

სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

კვლევითი საქმიანობის შეფასებასთან მიმართებაში აკადემიას ჰქონდა ერთი რეკომენდაცია, კერძოდ აკადემიამ უნდა შეიმუშავოს სტრატეგია, რომლითაც შესაძლებელი იქნება კვლევითი საქმიანობებისა და მათი ინტერნაციონალიზაციის შეფასება.

აკადემიური პერსონალის მიერ განხორციელებული კვლევითი საქმიანობის შეფასება ხორციელდება მარეგულირებელი წესით „აკადემიური პერსონალის სამეცნიერო/კვლევითი და აკადემიური საქმიანობის ეფექტურობის შეფასების წესი“. აღნიშნული წესი განსაზღვრავს, რომ აკადემიური პერსონალი წელიწადში ერთხელ წარადგენს თვითშეფასების ანგარიშს რექტორის ბრძანებით შექმნილ შემფასებელ კომისიასთან, რომელიც თავის მხრივ აფასებს პერსონალის მიერ წარმოდგენილ ანგარიშს და განსაზღვრული კრიტერიუმების შესაბამისად აფასებს პროფესორის საქმიანობას თავის მხრივ, რასაც წარუდგენს სასწავლო აკადემიურ დეპარტამენტს. შეფასების შედეგები ინახება ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან. ინტერვიუს დროს აღნიშნულ იქნა, რომ აკადემიური პერსონალი თვითშეფასების ანგარიშს წარადგენს ხარისხის სამსახურთან და კომისია არ ახდენს მათ შეფასებას, როგორც ამას წესი განსაზღვრავს. რეკომენდირებულია აღნიშნული მარეგულირებელი წესი შესაბამისობაში მოვიდეს სასწავლებელში არსებულ პრაქტიკასთან და მკაფიოდ აისახოს შეფასების მეთოდები, მექანიზმები და პასუხისმგებლობები, გაუგებრობის თავიდან აცილების მიზნით. კვლევითი საქმიანობის შეფასების შედეგების ანალიზს ახდენს უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური და შედეგებს გადასცემს შესაბამის ფაკულტეტებს მათზე რეაგირების მიზნით. პრაქტიკაში ამ შედეგების განხორციელების მაგალითებია, კვლევებისათვის საჭირო ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება, რაც აღინიშნა აკადემიურ და სამეცნიერო-კვლევით აქტივობებში ჩართულ პერსონალთან გასაუბრებისას. უნივერსიტეტის მიერ დასკვნის პროექტზე წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას თან ერთვის რეკომენდაციის საფუძველზე შემუშავებული აკადემიური პერსონალის საქმიანობის შეფასების დოკუმენტი, თუმცა მათი განხილვა არ მოხდა ექსპერტთა მიერ.

აკადემიამ ექსპერტთა მოთხოვნის საფუძველზე წარმოადგინა 2018 წლიდან დღემდე აკადემიური პერსონალის კვლევითი საქმიანობის ანგარიშის შედეგების ანალიზი ფაკულტეტების მიხედვით, როგორც რაოდენობრივი მაჩვენებლები, ასევე, ფაკულტეტების სხდომების ოქმები, სადაც განხილული იყო განსახორციელებელი ღონისძიებები სამეცნიერ-კვლევით საქმიანობათან მიმართებაში.

2020 წელს შეიქმნა სამეცნიერო-კვლევითი და საგამომცემლო საქმიანობის სამმართველო, რომელიც სტრუქტურულად ექვემდებარება სასწავლებლის ბიბლიოთეკას. აღნიშნული სამმართველოს საქმიანობას დებულების საფუძველზე წარმოადგენს აკადემიური პერსონალისთვის საგამომცემლო საქმიანობის ხელშეწყობა, მათი წიგნებისა თუ სტატიების გამოცემის მხარდაჭერა. ინტერვიუს დროს აკადემიური პერსონალიდან რამოდენიმემ აღნიშნა, რომ არ იცნობდა აღნიშნული სამმართველოს ფუნქციებს ან ვერ იყენებდა მის მიერ შემოთავაზებულ სერვისებს. სასურველია სამმართველოს საქმიანობა იყოს უფრო ეფექტური და აკადემიურ პერსონალს ჰქონდეს მეტი ცნობადობა მის საქმიანობასთან მიმართებით.

აკადემიას აქვს შემუშავებული დოკუმენტი „მომსახურების მონიტორინგის პროცესის პროცედურა“, სადაც კვლევითი საქმიანობის და ინტერნაციონალიზაციის შეფასების სტრატეგიაა წარმოდგენილი. ამ დოკუმენტის მიხედვით აკადემიური პერსონალის შეფასების კრიტერიუმების ნაწილს წარმოადგენს კვლევა და კვლევითი

საქმიანობის ხარისხი. კვლევითი საქმიანობის შეფასების კრიტერიუმები კი არის: პუბლიკაციები, შრომათა კრებული, ადგილობრივი და საერთაშორისო კონფერენციები, კვლევითი პროექტები.

ყოველწლიურად უნივერსიტეტი აკეთებს აკადემიური პერსონალის ანგარიშების შესრულების მონიტორინგს. სამეცნიერო-კვლევითი მიმართულებით განხორციელებული აქტივობების შესახებ ინფორმაციის მონიტორინგი, შეფასება და ანალიზი ევალება ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურებს. შემუშავებული რეკომენდაციები უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ წარედგინება სენატს განსახილველად. ინტერვიუს დროს გადამოწმდა ამ პროცედურების თანმიმდევრობა.

დაწესებულებას წარმოდგენილ ანგარიშში, მე-6 სტანდარტის ფარგლებში ასევე გაანალიზებული ჰქონდა ავტორიზაციის ექსპერტების მიერ 2.2 კომპონენტში გაცემული რეკომენდაციარეკომენდაცია, რომელიც კვლევითი კომპონენტის შეფასებას ეხებოდა, კერძოდ: უზრუნველყოფილი უნდა იქნეს, რომ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა მეტი ყურადღება დაუთმოს კვლევითი კომპონენტის შეფასებისა და მხარდაჭერის მექანიზმებს.

უნივერსიტეტს აქვს 2017 წელს შემუშავებული აკადემიური პერსონალის სამეცნიერო/კვლევითი და აკადემიური საქმიანობის ეფექტურობის შეფასების წესი, რომლის მიხედვითაც ფასდება აკადემიური პერსონალის სამეცნიერო საქმიანობა. 2018 წლის ავტორიზაციის დასკვნაში ნათქვამია, რომ „ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური უფრო მეტად ყურადღებას ამახვილებს საგანმანათლებლო კომპონენტზე და ნაკლები ყურადღება ეთმობა კვლევითი კომპონენტის შეფასებასა და განვითარებას. აკადემიის ხარისხის დეპარტამენტი ახლა იწყებს უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის კვლევითი საქმიანობის მონიტორინგს“. ამ საკითხის შესწავლის მიზნით, ექსპერტთა ჯგუფის მიერ უნივერსიტეტიდან გამოთხოვილ იქნა აკადემიური პერსონალის კვლევითი საქმიანობის მონიტორინგის შედეგების, მათი ანალიზის და განხორციელებული უკუკავშირის შედეგების ამსახველი დოკუმენტები. წარმოდგენილი დოკუმენტები, რომლებიც სტატისტიკურ ინფორმაციას იძლევა აკადემიური პერსონალის სამეცნიერო აქტივობების შესახებ, ასევე, წარმოდგენილია ფაკულტეტების საბჭოს სხდომების ამონაწერები, სადაც სამეცნიერო აქტივობებთან დაკავშირებულ საკითებზე მიღებულია სხვადასხვა გადაწყვეტილებები, თუმცა კვლავ ბუნდოვანი რჩება აკადემიური პერსონალის საქმიანობის მონიტორინგის რომელ შედეგებზე დაყრდნობით რა ანალიზი იქნა გაკეთებული და შემდეგ მათ განხორციელებას რა შედეგები მოჰყვა. ინტერვიების დროს გამოიკვეთა ის, რომ კითხვარები ნამდვილად ეგზავნებათ ყველას, სამეცნიერო აქტივობებში ჩარტულ პერსონალს თუ სტუდენტებს და მათზე რეაგირებაც ხდება, კერძოდ, სამეცნიერო ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება. უნდა აღინიშნოს, რომ უნივერსიტეტს 2019 წელს აქვს შემუშავებული დოკუმენტი „ადამიანური მართვის პოლიტიკა და პროცედურა“, სადაც ნათქვამია, რომ ყოველი აკადემიური წლის ბოლოს აკადემიური პერსონალი ავსებს სპეციალურ თვითშეფასების ფორმას, რომელიც მათ მიერ შესრულებულ სამეცნიერო-კვლევით საქმიანობის ანგარიშებსაც მოიცავს. წარმოდგენილი ანგარიშების ანალიზსა და შესაბამისი პერსონალის შეფასებას უზრუნველყოფს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ფაკულტეტების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურებთან ერთად. დასკვნის პროექტზე უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციაში ნათქვამია, რომ რეკომენდაცია მონიტორინგის შედეგებზე დაყრდნობით შემუშავებული ანალიზის დოკუმენტის შემუშავებასა და განხორციელებული უკუკავშირის ამსახველ დოკუმენტებთან დაკავშირებით განხორციელებულია, თუმცა მათი განხილვა არ მოხდა ექსპერტთა მიერ.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- აკადემიური პერსონალის სამეცნიერ-კვლევითი და აკადემიური საქმიანობის ეფექტურობის შეფასების წესი;
- აკადემიური პერსონალის კვლევითი საქმიანობის ანგარიშის შედეგების ანალიზი;
- ფაკულტეტების სხდომების ოქმები;
- მომსახურების მონიტორინგის პროცესის პროცედურა;
- გადაწყვეტილება N16/19 აკადემიური პერსონალის ანგარიშების შესრულებისა და მონიტორინგის შესახებ;
- აკადემიური პერსონალის აქტივობები;

- ადამიანური მართვის პოლიტიკა და პროცედურა.
- ინტერვიუები.

რეკომენდაციები:

- „აკადემიური პერსონალის სამეცნიერო/კვლევითი და აკადემიური საქმიანობის ეფექტურობის შეფასების წესი“ შესაბამისობაში მოვიდეს სასწავლებელში არსებულ პრაქტიკასთან და მკაფიოდ აისახოს შეფასების მეთოდები, მექანიზმები და პასუხისმგებლობები, გაუგებრობის თავიდან აცილების მიზნით;
- აკადემიური პერსონალის საქმიანობის ყოველი მონოტორინგის შედეგებზე დაყრდნობით შემუშავებულ იქნას ანალიზის დოკუმენტი და ასევე, განხორციელებული უკუკავშირის ამსახველი დოკუმენტი/დოკუმენტები.

რჩევები:

- სასურველია სამეცნიერო-კვლევითი და საგამომცემლო საქმიანობის სამმართველოს საქმიანობა იყოს უფრო ეფექტური და აკადემიურ პერსონალს ჰქონდეს მეტი ცნობადობა მის საქმიანობასთან მიმართებით.

შეფასება:

მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით:

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☒ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

დანართი №1: უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების ჩამონათვალი

№	პროგრამის დასახელება	სწავლების ენა	მისანიჭებელი კვალიფიკაცია (კვალიფიკაციის კოდით)	ECTS	პროგრამის სტატუსი (ავტორიზებული/ აკრედიტებული)	შესაბამისი გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი
1	მენეჯმენტი - ნავსადგურის მენეჯმენტი	ქართული	მენეჯმენტი	-	არააკრედიტებული	-
2	საერთაშორისო ბიზნესის მენეჯმენტი	ქართული	საერთაშორისო ბიზნესის მენეჯმენტი	-	არააკრედიტებული	-
3	ლოჯისტიკა და ექსპედირება	ქართული	ბიზნესის ადმინისტრირება	-	არააკრედიტებული	-
4	ტურიზმი - საკრუიზო ტურიზმის მენეჯმენტი	ქართული	ტურიზმი	-	არააკრედიტებული	-
5	საპორტო ოპერაციების მართვა	ქართული	საზღვაო ოპერაციები	-	აკრედიტებული	-
6	საზღვაო გადაზიდვების ორგანიზაცია და ლოჯისტიკა	ქართული	მენეჯმენტი	-	არააკრედიტებული	-

7	ფინანსები - საფინანსო საქმე და დაზღვევა ტრანსპორტზე	ქართული	ბიზნესის ადმინისტრირება	-	აკრედიტებული	-
8	ეკონომიკა - ტრანსპორტის ეკონომიკა	ქართული	ეკონომიკა	-	აკრედიტებული	-
9	საზღვაო ტურიზმის მენეჯმენტი.	ქართული	ბიზნესის ადმინისტრირება	-	აკრედიტებული	-
10	გემების ენერგეტიკული და ელექტრული სისტემები და დანადგარები	ქართული	საზღვაო ინჟინერია	-	აკრედიტებული	-
11	ბიზნესის ადმინისტრირება	ქართული	ბიზნესის ადმინისტრირება	-	აკრედიტებული	-
12	ნავსადგურებისა და სატრანსპორტო ტერმინალების ექსპლუატაცია	ქართული	ინჟინერია	-	აკრედიტებული	-
13	ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა	ქართული		-	აკრედიტებული	-
14	საზღვაო ნავიგაცია	ქართული	1041.1.1 საზღვაოსნო მეცნიერება	-	აკრედიტებული	-
15	გემის მექანიკა	ქართული	0716.1.2 საზღვაო ინჟინერია	-	აკრედიტებული	-
16	გემის ელექტრომექანიკა	ქართული	0716.1.4 საზღვაო ელექტროინჟინერია	-	აკრედიტებული	-